საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 24 ნოემბრის
დადგენილება № 351

სტუ-ს საგამომცემლო სახლ
„ტექნიკურ უნივერსიტეტში“
ნორმატიულ-ტექნიკური ტერმინოლოგიის
ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტში“ ჩამოყალიბდეს ნორმატიულ-ტექნიკური ტერმინოლოგიის ჯგუფი, რომელიც დაეხმარება ქართული სალიტერატურო ენის და, კერძოდ, ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც მისი კულტურის, წინსვლისა და განვითარების იარაღი. ჯგუფის ერთ-ერთ ამოცანად ჩაითვალოს ისიც, რომ მან მოიძიოს და შეისწავლოს საცილობელი საკითხები და მეცნიერულად დასაბუთებული სახით მიაწოდოს დაინტერესებულ პირთ.

2. ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს ცხრა კაცით და მის შემადგენლობაში შევიდნენ:

1. თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი სრული პროფესორი
2. მანანა დათუკიშვილი ასოცირებული პროფესორი
3. მარიამ ვარდიაშვილი ასოცირებული პროფესორი
4. ზურაბ გამეზარდაშვილი ფილოლოგიის მეც. დოქტორი
5. ბადრი ცხადაძე ასისტენტ- პროფესორი
6. აკაკი ჩიქოვანი სსტუ-ს რედაქტორი
7. მედეა ბაზაძეს სსტუ-ს რედაქტორი
8. ანზორ შავგულიძე სრული პროფესორი
9. თამარ მალაღურაძე ასოცირებული პროფესორი

3. ჯგუფის ხელმძღვანელი და სწავლული მდივანი აირჩევიან ჯგუფის პირველსავე შეკრებაზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**